

ბრძანება № 01-01/84

თბილისი

“ 28 “ ოქტომბერი 2016 წ.

ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთსუ-ის წესდების მე-5 მუხლის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების მე-9 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016 წლის 28 ოქტომბერს გამოცხადდეს შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები.
2. არჩევნების ჩასატარებლად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ვალერიან ვაშაკიძე – საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგე, პროფესორი
რეზო ბალანჩივაძე – გთსუ-ის პროფესორი
ნანა გოგიჩაშვილი – გთსუ-ის ასოცირებული პროფესორი
ლაურა კუტუბიძე – გთსუ-ის ასოცირებული პროფესორი
3. არჩევნების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოში არჩეული იქნება 2 წევრი: 1-აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი; 1 - სტუდენტი.
4. კონკურსის მონაწილეების რეგისტრაცია იწარმოოს 2016 წლის 28 ოქტომბრიდან 2016 წლის 07 ნოემბრამდე ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 11 ნოემბერს.
5. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
6. ეთხოვოს სტუდენტთა თვითმმართველობას აირჩიონ ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში 1 წევრი.
7. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი